საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ც. მთავ. კომიტეტის ორგანო.

სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი ივნისის 22
1921 წ.
ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6.
ტელეფონი 12—29

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტნი დულა ხუბუტია, ნინა სირია, თამარ ადამია, ნინა ვერულაშვილი, ვ. ტოგონიძე, აუწყებენ საზოგადოებას, ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი ქალის

ვერა ოკუჯავას

უდროოდ გარდაცვალებას. 1054

თბილისში მყოფნი ნათესავები და ამხანაგები: მაიკო და თედორე ცხომელიძეები, ვასო ვანიძე, ანანია სალუქვაძე, სილ. თავართქილაძე, ლ. რ-ძე, ბ. დ-ძე და ილიკო მეგრელაძე გულწრფელი მწუხარებით აცნობებენ მეგობრებს მათთვის ძვირფასი

ვასო გლახუნის ძის აბაშიძის

უდროოდ დაკარგვას რომლის დაკრძალვა მოხდა გუშინ ქ. ოზურგეთში. 1056

ღრმად დამწუხრებული შვილები ვარდენ (ვარლამი) მატრონე, მარიამ, ანნა და ელენე ავალიანები. სიძეები კირილე გიორგის ძე რუსია და ილარიონ ოქროპირის ძე ტყეშელაძე. შვილის შვილები არჩილ და თინა ავალიანები ნინა, თამარა, შურა და ქეთო რუსიები. ელიკო და პაპუნა ტყეშელაძეები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი მამა და ბაბუა

ალექსანდრე ეზიას ძე ავალიანი

პანაშვიდები ყოველ დღე 6 ნახ. საათზე. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან თავშესაფარის შესახვევ (პრიუტის შესახ.) სახლი № 8. ხუთშაბათს ივნისის 23 დილის 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში 1057

კვირას ივნისის 19 გარდაიცვალა მღვდელი

გაბრიელ გიორგის ძე ჭინჭარაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ მეუღლე პელაგია, შვილები: ელენე, გიორგი, სოსო, შალვა და ირაკლი, რძალი პეპელა პატარა შვილიშვილებით: ნათელათი და ეთერით. გამოსვენება დღეს, ოთხშაბათს, დილის 9 საათზე ბინიდან ელისაბედის ქ. № 148 კუკიის წმინდა-ნინოს ეკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ მოხდება დასაფლავება. 4800

პარტიაში

1.

ეს იყო მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე. ემიგრანტი ქართველები ხან პარიზს და ხან შვეიცარიის ტბების წყნარს ბალახებში აკინძავდნენ ხოლმე ქართველი ინტელიგენციის მოკრების აზრს და დიდ სურვილებს ჩასდებდნენ იმ ფოლიანტებში, რომელსაც პროგრამას უწოდებენ ჩვეულებრივ. პროგრამა ჩვენ გვქონდა საქართველოს [illegible] დასარაზმად, ქართველი ხალხის ნამდვილი თავისუფლებისთვის.

ჩვენი პარტიის ისტორიის დრო დღეს არ არის. ამისათვის ცალკე გვექნება დრო მოგონებათა აღწერისა, დაბეჭდვითი ლაპარაკისა; გადამთიელებმა ის და შესძლეს, რომ საქართველოს თავისუფლების იდეა ნარკოტულ ნივთებს ჩამოაშორეს, რუსულ იმპერიულ სოციალიზმი დაუპირისპირეს და დაამყნეს ქართველობის საკუთარ სულს და გონებას კომუნიზმის იდეა, როგორც ჩვენი პარტიის ეკონომიური კონცეპცია და ფედერალიზმი, როგორც პოლიტიკაში გახსნიერება კომუნისტური შეცვლებისა.

საოცარია ის, რომ პარტიის დაარსებისას მუდამ კომუნიზმზე იყო ლაპარაკი, ჩვენს ოქმებში და პარიზის გაზეთში გამსაკუთრებულ ყურადღებით სწეროდნენ კომუნებზე... შემდეგ კი ყოველივე ეს მიაჩქმალეს ის ამხანაგებმა, რომლებმაც ერთგვარი სახე მისცეს ჩვენს პარტიულ მუშაობას მიმდინარე საუკუნის მეათე წლებიდან.

ჩვენს პარტიაში შემოიპარა როგორც ეკონომიური მატერიალიზმი, ისე შვეიცერიანიზმი. სოციალიზმ-ფედერალიზმის ძველი ორიგინალობა გადახურდავდა შვაიცერის, ჰეინეს, ზიუდეკუმის და რენერის სოციალ-პატრიოტიზმზე, ხოლო ეკონომიური ჰორიზონტების კვალიფიკაცია აღარ გაშორდა ჰერცის, დავიდის, ფოლმარის და მასლოვის პოსტულატებს და კომუნიზმის საფუძვლები მენშევიზმით გაიმსჭვალა.

იმის ხანა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისათვის არის პარტიაში მენშევიზმის გაბატონების ხანა. რამდენადაც პარტია დაარსებისას აქტუალური იყო, პოლიტიკურად და ლიტერატურულად აგრესიული, იმდენადვე პარტიის უკანასკნელი პერიოდი არის პარტიულ პასივობის ხანა, დრო პარტიული დეკადანსისა.

თუ საუკუნის სათავეში ჩვენი მამები ეცილებოდნენ საქართველოს ცოცხალს ძალებს მესვეურობასა და პირველობაში, შემდეგ ამის გრძნობაც, იმედიც და სურვილიც ჩაქრა ჩვენს ამხანაგებში და დიდი პარტია პრიმატი შეიქმნა მენშევიკებისა თუმცა პარტიის დაარსების აქტი მენშევიკური დანიშნულება ქონდა.

არსებითად პარტია გადახურდავდა ლიტერატურულ სექტად, ლიბერალიზმის დროშა აფრიალა და დაკარგა გარკვეული სახე და მიზანი.

ვინ არ იცის, რომ პარტიაში ბოლო დროს სრულიად წაიშალა ხელისუფლების გრძნობა და სპორადიულად თუ რაიმე აზრი გაიელვებდა ჩვენში აზრი საქართველოს მთელი ძალის ჩვენი პარტიის ხელში მოთავსებისა—ეს აზრი უფრო ეჭვი გახლდათ, ვიდრე მოტივი პარტიის მუშაობისა და არსებობისა.

პარტიის ამაზე მეტი დაცემა, დაგლახაკება შეუძლებელია.

რა არის ამის მიზეზი?

მრავალი საზოგადო პირობები არსებობს ამის ახსნილად, მაგრამ არის წმინდა სუბიექტიური მოტივებიც. პარტიის სახეობის ობიექტიურ მომენტებზე შემდეგ მოვილაპარაკებთ, ეხლა სუბიექტიურ მხარეს მივაქცევთ ამხანაგების ყურადღებას.

უდიდესი იარაღი პარტიის აქტუალობისა მტკიცე და სრულიად გარკვეული იდეოლოგიაა. იდეოლოგები მუდამ ისტორიულ როლს თამაშობენ ცხოვრებაში და გარკვეულ პირობებში „გმირები" ხშირად უდიდეს ძალას იჩენენ.

ასი წლის ეროვნული ტანჯვა ქართველობისა მხოლოდ მეოცე საუკუნეში გამოხატა პოლიტიკურის ფორმულით ჟურნალმა „საქართველო"-მ, გორდიის კვანძი ემსის დეპეშით გახსნა ბისმარკიმ, ხოლო პიემონტის გმირმა სასიკვდილო ლახტი დასცა ავსტრიას იტალიის თავისუფლებისათვის.

პიროვნება მეტად დიდი ძალაა ისტორიისა. დღეს ლენინი მართლაც ძარღვია რევოლუციის, სახეა მრავალ მებრძოლისა, [illegible], იმედია, ავტორიტეტია. ჩვენს პარტიაშიაც დიდი ალღო იყო ავტორიტეტის, მამის, ლიდერის. ჩვენ ყოველთვის ვქმნიდით, ვადიდებდით და პიედესტალზე ავყავდა ჩვენი ლიდერი; გვინდოდა ჩვენს ლიდერს მთელი ქართველობის გრძნობა მოეცრა, მთელი აზროვნების და გეზის სიმბოლო ყოფილიყო.

ამ მხრივ ფორტუნამ გვიმუხთლა: მეოცე საუკუნე ჩვენი მამების საფლავების საუკუნეა. რამდენი დავკარგეთ, რამდენი მიისაკუთრა სამარემ. ჩვენ კი ცოცხალ „მამებს" რკალივით ვევლებოდით, ალერსით, სიხარულით, იმედით, ძალას არ უტეხდით...

მაგრამ არიან უბედური პირები. 4 აგვისტოდან გერმანიის სოც.-დემოკრატიამ დაჰკარგა იდეური ლიდერი ქ. კაუცკი, ავსტრიაში კ. რენერი ჩაყლაპა მინისტერიალიზმმა, ინგლისში კი ჰენდერსონმა ყოველივე ნდობა დაჰკარგა მუშათა მასაში, რუსეთში პლეხანოვის ტრაგედია მენშევიკების ტრაგედიაა.

დაახლოვებით ეს ბედი ეწვია ჩვენს პარტიასაც. ჩვენ აღარ გვყავდა ისეთი მძლავრი პიროვნებები, რომელიც აზროვნობით მიიჯაჭვავდა მთელი ჩვენი ხალხის ყურადღებას, უჩვენებდა იგი ლიდერი გეზს საქართველოს, თავისი პარტიული მუშაობით განამტკიცებდა პარტიის ძალას და მომავალს.

ლიდერის მოძრაობა პარტიის მოძრაობაა. დაადუმეთ ენა ლენინისა ერთს წუთს და მთელი რუსეთი გაიხრწნება, შეაჩერეთ ლენინის ხელი და თქვენ მიიღებთ რევოლუციის დაქცევას.

ლიდერის სისუსტე, უილაჯობა, უუნარობა, ცალხელობა პარტიის უმთავრესი უბედურებაა, ასეთი ლიდერი არა თუ არ ამოძრავებს პარტიის ძალას, არა თუ არ მოკრებს მებრძოლთ, პირიქით, ის გააძლიერებს დამქსაქსველ ელემენტებს, კვიეტიზმს გაამეფებს, პიროვნული მომენტები გახდებიან უმთავრესი თვისებანი მუშაობაში და შედეგად მივიღებთ პარტიის რღვევას, ძალთა დაშლას.

გადახედეთ ჩვენს პარტიას. განა ჩვენი კრიზისი ჩვენი იდეების შედეგია? სად დამარცხდა პარტიის დოქტრინა? რაში არ გამოგვადგა იგი?

„მაგრამ დოქტრინის სიმტკიცის მიუხედავად ჩვენ მთელი პლეადა დავღუპეთ პარტიაში. შეუძლებელია დაქსაქსვის პროცესი მივაწეროთ პირად მოვლენებს. ჩიხაკო წერეთელი, სპ. კედია, გ. ქიქოძე, დ. ჩიქოვანი, ა. წერეთელი, შ. ნუცუბიძე, ბ. ქელბაქიანი, მრავალი ამხანაგები თეორიულად და პრაქტიკულად სასარგებლონი ფაქტიურად მოისპენ პარტიისათვის იმიტომ, რომ მძლავრმა მეთაურის შემოქმედებამ ამათი ინტელექტი და ენერგია ვერ მოკრიბა ერისა და ქვეყნის საქმისათვის ჩვენი დროშის ქვეშ.

კიდევ რამდენი ამხანაგი შესჭამა აკადემიზმმა, კანცელარიამ იმიტომ, რომ პარტია ჭაობად გადაიქცა ცოცხალ ძალთათვის.

ასეთი ჭაობი უნდა მოისპოს ჩვენში. მთელი ენერგია, მთელი სიცოცხლე, მთელი ძალა უნდა ავამოძრაოთ ჩვენი პარტიის რევოლიუციური შემოქმედებისათვის.

რკინის ნებისყოფით გავკაფოთ ეკლიანი გზა. მაღლა ავსწიოთ ჩვენი დროშა, მოძრაობა, მოძრაობა და მოძრაობა პარტიაში, ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა, საქმე და საქმე ჩვენს ირგვლივ.

მაგრამ ვისთან, როგორ, რით?

თედო ღლონტი.

პარტიული რეგისტრაციისათვის

ამხანაგებო!

თქვენ იცით, რომ იდეიურად ძლიერი ჩვენი პარტია განირჩეოდა ორგანიზაციული სისუსტით. ამ წლის თებერვალში ოცი წელი შეუსრულდა ჩვენ პარტიას და ამ ხნის განმავლობაში ის მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა იდეიური ბრძოლიდან. მაგრამ მუდამ მარცხდებოდა ორგანიზაციულად, მუდამ უმცირესობაში რჩებოდა. რევოლიუციის მსვლელობამ გაამართლა ჩვენი გზა, მაგრამ პარტიამ ამით ვერ ისარგებლა. რატომ? იმიტომ რომ ჩვენი პარტია არ წარმოადგენდა ისეთ ძლიერ ორგანიზაციას, რომელსაც შესძლებოდა ცხოვრებაში გატარებინა, განეხორციელებინა რასაც ქადაგებდა. პარტიამ ვერ მოახერხა სიტყვა საქმედ ექცია, ვინაიდან ამისთვის აუცილებელი იყო ძლიერი ორგანიზაცია და ეს კი ჩვენ არ გვქონდა.

უორგანიზაციობა და უდისციპლინობა იქამდის მივიდა, რომ თვით პარტიის არსებობას საფრთხე მოელის! ეს სავსებით გამოაშკარავდა უკანასკნელ კონფერენციაზედ. ამხანაგებო! ჩვენი პარტია დღეს კრიზისს განიცდის. ეს კრიზისი ხელოვნურადაა გამოწვეული. უორგანიზაციობა და უდისციპლინობა საშუალებას აძლევს ამა თუ იმ ჯგუფს, გინდ პიროვნებას პარტია თავის ჭკუაზედ ატაროს, გადაახვევინოს რევოლიუციონურ და სოციალისტურ გზიდან, ან დაშალოს, დაარღვიოს. მაგრამ ამის ნებას თქვენ არავის მისცემთ, ამხანაგებო! ამისათვის კი აუცილებელია მტკიცე ორგანიზაციების შექმნა და წევრთა ხელახალი რეგისტრაცია. უნდა მოხდეს პარტიის გაჯანსაღება, გადახალისება, რომ თავი დავაღწიოთ არსებულ მდგომარეობას და ღირსეულად ვემსახუროთ ჩვენს მაღალ მიზნებს.

წევრთა მიღების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ პარტიული სტაჟით და არ უნდა შემოვუშვათ პარტიაში ყველა მოსურნე, არამედ ნამდვილი, გულწრფელი სოციალისტი, რომელსაც შერჩენია მომავლის რწმენა და ბრძოლის ხალისი. წევრთა სიმრავლეს აღარა აქვს დღეს ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ჰქონდა უწინ, პარლამენტარული ბრძოლის დროს. საკმაოდ გარკვეულს და მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილ რევოლიუციონერთა ჯგუფს, თუ გინდ მცირე-რიცხოვანს, მაგრამ ორგანიზაციით და დისციპლინით გამაგრებულთ, შეუძლიათ—და ეს მათი რევოლიუციონური მოვალეობაცაა,—სწორ გზაზედ დააყენოს ინერციული მასა. დღეს, როცა ორი ქვეყანა გაფიცხებული ერთმანეთს ებრძვის და, ავად თუ კარგად, უნდა გადაწყდეს მშრომელი ხალხისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხები, ამ ნგრევა-შენების დროს, ვის შეუძლია განზედ გადგეს და ხვალინდელის მოლოდინში საათები სთვალოს! ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ამის ნებას არ გვაძლევს, ამხანაგებო! ვინც ასე მოიქცევა, მას ცხოვრება გარიყავს და შემდეგ გვიანღა იქნება თითებზედ კბენანი.

დრო არ იცდის და ისტორია არ შეიბრალებს დაგვიანებულთ! ცხოვრების აჩქარებული მსვლელობა გაასკეცებულ ენერგიას მოითხოვს და ჩვენ აუცილებლად უნდა დავირაზმოთ ძლიერ ორგანიზაციებში და შემოვიღოთ მტკიცე, სამხედრო დისციპლინა!

ყოველივე ამის ცხოვრებაში გასატარებლად და სისრულეში მოსაყვანად პარტიის სეკრეტარიატთან დაარსდა განსაკუთრებული საორგანიზაციო სამეული ამ სამეულს დაევალა, რაც შეიძლება დაჩქარებით მოახდინოს პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

ადგილობრივი სახოფლო-სარაიონო და საქალაქო ორგანიზაციები ეხლავე უნდა შეუდგნენ ამის სამზადისს. სადაც ასეთი ორგანიზაციები არაა, ან მოშლილია, იქ უნდა შესდგეს საინიციატივო ჯგუფი. ყველა მაზრებში და ქალაქებში ტფილისის ცენტრალური სამეული ნიშნავს პასუხისმგებელ ინსტრუქტორებს. ადგილობრივ ამხანაგებს ევალებათ ყოველ მიზეზს გარეშე ხელი შეუწყონ და დახმარება აღმოუჩინონ ინსტრუქტორებს ამ დიდ პარტიულ საქმეში. გახსოვდეთ რომ ბევრი დროს ვერ მოვანდომებთ ამ საქმეს, რაც შეიძლება მალე უნდა მოვათავოთ ის და მოვიწვიოთ კანონიერი კონფერენცია, რომელიც ბოლოს მოუღებს ჩვენში არსებულ არევ-დარევას, პარტიას გაამართლებს და სწორ გზაზედ დააყენებს.

სათანადო დირექტივებს პროვინციელი ამხანაგები მიიღებენ სამეულიდან, ხოლო ყოველგვარ ცნობისთვის პარტიული მუშაობისა ამხანაგებმა უნდა მიმართონ სამეულს რედაქციის მისამართით.

საორგანიზაციო სამეული.

წერილი პარტიულ ამხანაგებს

III

ამხანაგებო! ჩვენ ჯგუფს უკიჟინებენ ზოგიერთები „გაწითლებას". ამბობენ, რომ ჩვენ უღალატეთ ჩვენს პრინციპებს, ვიღაცას რაღაც დაუთმეთ, და შემოწოლილ ძალას წავყევით და დავექვემდებარეთ. მაგრამ ამ თქმაში იმდენივეა სიმართლე, რამდენიც სულელი კაცის თავში დიდი აზრი. თუ ღალატზე მიდგება საქმე, ის უფრო მართალი იქნება ვსთქვათ, რომ ჩვენამდე მოხდა ღალატი, და ჩვენმა ამხანაგებმა, 1904 წლიდან მოყოლებული, თან და-თანობით რეფორმიზმის და პარლამენტარიზმის სფეროში შეიტანეს მათ წინაამდეგ ამარ-

თული რევოლიუციონური დროშა. სოც.-დემოკრატებთან დიდი ხნის კამათმა, მათთან ხანდახან თანამშრომლობამ თუმც ერთი მხრივ გამარჯვება მოგვიტანა, და მოწინააღმდეგე ჩვენსკენ გადმოვათრიეთ, მაგრამ ზიანიც მოგვაყენა, ერთგვარი იდეოლოგიური დიფუზიის სახით. ოპორტუნიზმი, პარლამენტარული რევოლიუციონერობა, უფლებითი წესიერება და სხ. მარქსისტულ სკოლის ყაყაჩოები ჩვენს პარტიაშიც გაჩნდნენ, და თანდათანობით დაიკარგა ის რევოლიუციონური პათოსი, რომელიც ჩვენი პარტიის არსებობის პირველ წლებს ახასიათებდა. აბა გადაათვალიერეთ პირველი კონფერენციის ოქმები, ნახეთ ამხ. თერგულის მოხსენება „რევოლიუცია და სარევოლიუციო ტაქტიკა ბრძოლისა", გაეცანით კამათს, რეზოლიუციას, და შემდეგ ნათელი გახდება, ვინ უღალატა პარტიის პრინციპებს, ჩვენ, რომელნიც უდგამ მაქსიმალიზმის გზას ვადექით, თუ ჩვენმა ზოგიერთმა უფროსმა ამხანაგებმა, რომელნიც შეიძლება უნებლიეთაც მინიმუმის მომხრეებად გადაიქცნენ. აბა ყური უგდეთ ამხ. თერგულის მოხსენებას:—„ჩვენა ვართ... გამანადგურებელი ძალა ბურჟუაზიისა, რომელმაც ომი გამოგვიცხადა და რომელთანაც მშვიდობიანობას ჩამოგდება არა გვსურს! ჩვენი სახელი დამამხობელი რევოლიუციონერია და ჩვენ სხვანაირად არ გვესმის სიტყვა „რევოლიუციონერი" და ვერც გაიგებთ, თუ გინდ ათასმა ენრიკო ფერრიმ იყვიროს, რომ „მშვიდობიანი" (!) რევოლიუცია შეიძლებაო, იმ ენრიკო ფერრიმ, რომელიც სოციალურ რევოლიუციას 1892 წ. იტალიიდან დონ-პედროს გაძევნას ამსგავსებს!" და ცოტა ქვემოდ განაგრძობს:—„და თუ სოციალ-დემოკრატთ კლასთა ბრძოლა პარლამენტალურ ლაყბობად გადააქციეს, ეს არავისი ბრალია, რადგანაც ეს 40 წელიწადია, ეს ვაჟბატონები თავიანთ ქადაგობას ჰქადინიან და მთელი პოლიტიკური ტერმინოლოგია შერყვნეს ისე, რომ ეშმაკი ვერ გაიგებს რომელ სიტყვებით რა ცნებასა ჰხატავენ! .... მუდმივი ბრძოლა, მუდმივი ვარჯიშობა ამგვარ ბრძოლაში გამოიწვევს შემდეგ დიდ რევოლიუციას, რომელიც მთლად დაამხობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას, ...თუ კი ბრძოლა არ გვინდა, თუ მეტაფიზიკურ ფორმულებით დავკმაყოფილდებით, თუ „ბრძოლას" ვუწოდებთ ყოველსავე უმოქმედობას და ყოველდღიური უთავბოლო რახარუხს სიტყვეისას პარლამენტში და საჯარო კრებებზედ,—კიდევ გაივლის საუკუნეები და მონობა კი გაძლიერდება არა თუ გაჰქრება"-ო. ამ ენით ლაპარაკობდნენ ჩვენი წინაპრები, და თუ ჩვენც მათი ენით გვსურს ლაპარაკება, ეს თუ გნებავთ უკან-დაბრუნებაა 1904 წლისკენ, და არავითარ შემთხვევაში არ არის „გაწითლება". ამას დაგვწამებს ჩვენ ან ყოველდღიურობით დაშინებული მოქალაქე, რომელიც ყველგან ბოლშევიკს ჰხედავს, ან მოწინააღმდეგე პარტიის მოღვაწე, რომელიც სხვის „გაწითლებით" და „სახელის გატეხით" ცდილობს „დაკარგულ სამოთხის" დაბრუნებას, ე. ი. პარტიულ ბატონობის აღდგენას. ჩვენ ეს ვიცით, და მიტომაც გაფრთხილებთ ამხანაგებო. საქართველო ისტორიულად მეტად თავისებური ქვეყანაა. ყოველივე ახალის მაძიებელთ ქვეყანაში „მეშჩანობა" მაინც ისეა ფესვ-გადგმული, რომ გმირობაა დამოუკიდებელ მოქალაქედ დარჩენა, საკუთარი აზრით და წარმოდგენით.

ჩვენ ვიცით ეს, და მიტომაც გაფრთხილებთ. იქნებ ეს მეშჩანობა, ანუ გონებრივი სიდამბლე იყვეს ის მთავარი ნიადაგი, რომელზედაც, სოც.-დემოკრატებმა დაადგინეს თავიანთი ბატონობის ტახტი—საქართველოში. იქნებ ესვე იყო მიზეზი ჩვენი პარტიის სიპატარავის, რადგან მხოლოდ გმირები მოდიოდნენ ჩვენთან, და გმირები კი ჩვენს ქვეყანაშიც ძალიან ცოტაა. და ეს ყველაზე ადვილი მანქანა, „ობივატელური აზრი" უკვე ამუშავებულია ჩვენს წინააღმდეგ, უკვე აფრთხობენ ამხანაგებს ჩვენი „გაწითლებით"; და ეხვა გარეშე ანგარიშობენ იმ ხალხს, რომელმაც ან არაფერი არ იცის, ან იცის ძალიან ცოტა ჩვენ გაწითლება არ გვჭირდება. ჩვენი დროშა უფრო წითელი იყო, ვიდრე კომუნისტებისა, ჩვენი რევოლიუციონერობა არ იღებდა საზოგადოდ მარქსისტთა ტაქტიკას, როგორც არა-რევოლიუციონურს, ჩვენი სოციალიზმი უფრო მაღალი იყო, ჩვენი ეროვნული იდეოლოგია ყველა სხვებისთვის შეიქმნა სახელმძღვანელოდ, ჩვენი ფედერაცია დღეს მისაღები ხდება რევოლიუციისთვის, და ვინ უნდა იყვეს ის საცოდავი, რომ „გაწითლება" დაგვწამოს? არც იდეოლოგიურად, არც ტაქტიკისთვის ჩვენ არ მივალთ კომუნისტებთან სამათხოვროდ. ჩვენ ვრჩებით ისევ ნაცად გზაზე, და რომ მისაბაძი და სათხოვარი არა გვჭირს რა, ამხანაგებს ვეძახით 1904 წლისკენ დასარწმუნებლად, და პირველი კონფერენციის ნიშნის ქვეშ უნდა გავატაროთ მთელი ჩვენი არსებობის შემდეგი ეტაპები. ვნახავთ ყველაფერს, ბრძოლის პათოსიც მოგვემატება, და ჩვენი იდეოლოგიის გამარჯვებაც უეჭვო გახდება.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

რეგისტრაციისათვის

დროებით მთავარი კომიტეტი უკვე შეუდგა სოც.-ფედერალისტთა სარ—ო პარტიის ძალთა დარაზმვას გარკვეულ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციებში. პირველი ნაბიჯი ამ გზით, რასა თქმა უნდა, პარტიულ წევრთა რეგისტრაცია უნდა ყოფილიყო და აკი დროებითმა კომიტეტმა ეს რეგისტრაცია გამოაცხადა. რომ პარტიულმა მუშაობამ ფართო მოქმედებითი ხასიათი მიიღოს, პარტიის ხელმძღვანელმა ორგანომ უწინარეს ყოვლისა უნდა იცოდეს თავის ძალთა რაოდენობა, უნდა გაითვალისწინოს ის ფიზიკური სულიერი რესურსები, რომელთაზეც იქნება დაკავშირებული მაშტაბი შემდეგი პარტიული მუშაობის ნაბიჯებისა.

თუ პარტიამ არ იცის ძალები, რომლითაც უნდა დაიწყოს მან გარკვეული გზით მუშაობა, იგი მიზანშეწონილად გამოყენებას პარტიულ სამოქმედო ენერგიისას ვერ მიაღწევს, ვერ დაიცავს ეკონომიას პრაქტიკულ მუშაკთა გამოყენების დროს და მით ორგანიზაციულ მუშაობაში ქაოსს შეიტანს. ეს არ ქონდა ჩვენს პარტიას დღემდის და იგი ლამის დაღუპვის კარამდის მივიდა. ეს დიდი ნაკლი შეიგნო პარტიაში მყოფმა ცოცხალმა ელემენტმა და აკი შეუდგა სათანადო ნაბიჯების გადადგმას: გამოცხადდა პარტიულ წევრთა რეგისტრაცია. დღეიდან ჩვენს პარტიაში იქნება მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტები და არა სხვა ვინმე, შემთხვევით რომ თავს აფარებდენ ჩვენს წმინდა დროშებს!

ამიერიდან ჩვენი პარტიული წევრები უნდა იყვნენ ჩვენივე ეროვნულ-სოციალისტური დროშის გულწრფელნი მატარებელნი, მთელი არსებით მისი რევოლიუციონური შინაარსის პრაქტიკული ხორცშემსხმელნი! ჩვენი დროშის ორი პრინციპი ეროვნული და სოციალისტური არ უნდა იყოს ოცნების საკითხი ჩვენი პარტიული წევრებისათვის, როგორც აქვთ ჩვენს პარტიაში მოქცეულთ ეგონა; პირ-იქით, მათ ეს ცნებანი უნდა წარმოიდგინონ, როგორც სახელმძღვანელო რეალურ პოლიტიკის გატარების დროს, როგორც დღიურ წესრიგში დასმული შესამოსი სინამდვილე.

საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის ორიენტაცია და ეროვნული პრობლემის გადაჭრა ქართველი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაგების ნიადაგზე რევოლიუციასთან შეთანხმებით, აი საფუძველნი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ვისაც კი ჩვენი პარტიის წევრათ უნდა დარჩეს, ან უნდა ჩვენთან მოვიდეს.

სხვაგვარ მოაზროვნეს ჩვენს პარტიაში ადგილი არ უნდა ქონდეს და ჩვენც მოუწოდებთ ჩვენს ამხანაგებს, რომელთაც დავალებული აქვთ პარტიულ წევრთა რეგისტრაცია, იხელმძღვანელონ აღნიშნული მთავარი დებულებებით.

და თუ ეს მიღწეული იქნება ჩვენ შევიძლებთ ჩამოსხმულ ერთსულოვან პარტიულ ორგანიზაციებს, სამოქმედოთ განმზადებულთ, თავის მოვალეობის შემსრულებელ პარტიულ აპარატს. ეს აპარატი კი იმუშავებს გაუჩერებლივ ცხოველმყოფელად და შესძლებს აამოძრაოს ინდიფერენტული მასსა, აპოლიტური ელემენტი.

პარტიაც პოლიტიკურ ძალად იქცევა და შესაფერისს წონას მოიპოვებს საერთაშორისო რევოლიუციონურ პარტიებში.

ასეთს პარტიასთან მივა ხალხი და ხალხიდან იქნება ჩვენი პარტიაც. ჩვენი მიზანიც შესრულებული იქნება და ისტორიის ფურცლებსაც დავამშვენებთ.

მაშ ამხანაგებო! მტკიცე იმედი მომავლისა, შეურყეველი რწმენა ჩვენი იდეალებისა დაუდგეთ საძირკვლად პარტიულ ორგანიზაციების შექმნას, მის ჩამოქანდაკებას!

მაშ მედგრად წინ, რევოლიუციონური აღტყინებით; სოციალისტური შეგნებით პარტიულ ორგანიზაციების შესაკვრელად!

მეტი სიფხიზლე რეგისტრაციის დროს, მეტი სიწრფელე მუშაობის დროს და ვნახავთ ჩვენი რწმენის სიდიადეს სინამდვილეში!

შორს არ არის თავისუფლება ჩაგრულ ერთა, თავისუფლება დამონებულ კლასთა და ჩვენც ამ თავისუფლების ახლო უნდა აღმოვჩნდეთ!

ეს კი ორგანიზაციულად დარაზმვას შეუძლია;

მხოლოდ ამხანაგების ორგანიზატორულ უნარს ძალუძს რუბიკონის გადალახვა და პარტიული მანქანის ამუშავება!

ვანელი.

ჩვენი არსებობა

(ჩვენ ახალგაზრდობას)

დღეს, საქართველოს ყოველ კუთხეში და ყველაზე უფრო ჩვენს დედა ქალაქში, ბევრი ლაპარაკობს ჩვენ არსებობაზე. უმთავრესად, ლაპარაკის კილო და შინაარსი დაახლოვებით ერთგვარია და როგორც მტერნი, ისე მოკეთენიც გაიძახიან, რომ სოც.-ფედერალისტებს არა აქვს თავისი პოლიტიკური გეზი და ყოველი ძალის წინაშე, რომელიც კი ძალა-უფლებას ჩაიგდებს ხელში ქედს იხრიანო. მათვის წარმოუდგენელი და შეუძლებელი გახდარა, რომ ის ვინც მენშევიკების დროს მოქმედებდა ჩვენ პოლიტიკურ არეზე, დღესაც, მენშევიკების ანტიპოდ, ბოლშევიკების დროსაც, შეიძლება მოქმედობდეს და არსებობდეს. რასაკვირველია, პოლიტიკა ისეთი რამ არ არის, რომლის სახე ესთეტიურად, მშვენიერების თაიგულს წარმოადგენდეს და იყოს, ქანდაკებასავით ერთგვარი და უცვლელი. პოლიტიკაში, ერთხელ აღებული, ესა თუ ის პოლიტიკური სამოქმედო გზა, რეალ-ობიექტიურ თუ სუბიექტიურ პირობათა გამო, იცვლება და სხვაგვარად ისახება მოქმედების გეგმა, ტაქტიკა. ცხადია, რომ დღეს ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა, ჩვენი სულიერი განცდა, საუკეთესო ამხანაგ-მეგობრების დაკარგვა და სახელოვან გმირთა საფლავები, ქმნიან ისეთ ფსიხოლოგიურ ატმოსფერას, რომ ყალბი მსჯელობას ჩვენი არსებობის შესახებ გასავალი აქვს. მაგრამ, ჩვენთვის საკითხი სულ სხვა გვარათ სდგას. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობაც, ამხანაგებისა და მეგობრობის დაკარგვაც და გმირთა საფლავებიც ერთ მიზანს ემსახურებოდენ. ეს მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის უზრუნველყოფა, დაცვა და გამტკიცებას. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი მოქმედებაც ამ მიზნისთვის არის და ჩვენ არსებობასაც ამ მიზნისაკენ მისწრაფება აძლევს აზრსა და შინაარს. ყოველი ქართველი ქვასა და გუნდს მიხვრის მას, ვინც შეურაცყოფს, ჩვენ ეროვნულ წმიდათა წმიდას, ჩვენი სულიერი სიმდიდრის ემბლემასა და სახეს, ჩვენი სახელოვანი გმირთა უანგარო ლამაზ საფლავებს. და სწორედ ჩვენი ხალხის პოლიტიკური სიძლიერეც ამაშია.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა იმის განმარტებამ, თუ რისთვის არსებობს და მოქმედებს ჩვენი პარტია, რისთვის მას შეუძლია არსებობა დღეს და რა აზრი აქვს მის არსებობას?

ამისათვის საჭიროა, ორი გარკვეულ კითხვაზე უპასუხოთ, როგორი იყო ჩვენი ტაქტიკა მენშევიკებთან და საერთოდ საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს და როგორია იგი დღეს ბოლშევიკების ძალა-უფლების ხანაში.

რუსეთის რევოლიუციის პროცესში დამარცხებულმა მენშევიზმმა საქართველოს შეაფარა თავი. მიუხედავად მისი პრინციპიული მოსაზრებისა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და როგორც ეროვნული არ შეიძლება არსებობდეს გარეშე რუსეთის წყობილებისა და აწარმოებდეს დამოუკიდებელ ცხოვრებას, მიუხედავად საქართველოს სუვერენობის იდეის პრინციპიალურათ მიუღებლობისა, ჩვენ ტერიტორიაზე მენშევიზმის სამოქმედოთ აუცილებელი შეიქნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა. აქ, საქართველოში მათი პარტიული სტრატეგია, პარტიული პოზიცია, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას შეხვდა და შეუძლებელი შეიქნა პირველის დაცვა თუ კი მეორე არ იქნებოდა ცნობილი. ამ რიგათ, მენშევიზმი იძულებული გახდა, დამდგარიყო საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე, რადგან ამავე დროს მასში იქნებოდა ასებითად, მენშევიკების დამოუკიდებლობა, მათი პარტიული ანგარიშის უზრუნველყოფა. ჩვენ სოც.-ფედერალისტების ამ ძალის მიმართ გარკვეული პოლიტიკის წარმოება შეგვეძლო და ვაწარმოებდით კიდეც. ჩვენთვის მთელი მათი საქმიანობიდგან ერთი რამ იყო მისაღები და იგი ეროვნული სახელმწიფოს შენებაში ისახებოდა. რასაკვირველია, ამ ნიადაგზე ჩვენ მუდამ მათთან ვიყავით და ამ საქმისათვის მუდამ მიგვქონდა მსხვერპლი. მათი სოციალ-ეკონომიური პოლიტიკა, ჩვენთვის ყოველთვის მიუღებელი იყო და ამ საკითხში ჩვენ მას ვებრძოდით. ჩვენთვის მიუღებელი იყო, როგორც შენება ბურჟუაზიული სახელმწიფოს, ისე ის გაგება სოციოლოგიური საკითხისა, რომ დემოკრატიზმი აუცილებელია სოციალიზმის წინასწარ ფორმათ და რომ უმაღლესი განვითარება კაპიტალიზმისა წარმოშობს მის უარმყოფელს სოციალიზმს. ჩვენთვის ასეთი გაგება სოციალურ საკითხისა არ არსებობდა და არც არსებობს. ჩვენთვის მიუღებელი იყო ყოველთვის ჰეგელის უკუღმა გადმობრუნებული დიალექტიკური მეთოდით გაგება სოციალურ ტრანსფორმაციის და მიღება იმ სახით მისი, რა სახითაც ეკონომიური მატერიალიზმი მას ახასიათებს.

აქედან ერთი გარემოება აშკარაა. მენშევიკებთან ჩვენ ვთანამშრომლობდით იმდენათ, რამდენათაც ისინი ეროვნულ სახელმწიფოს ნიადაგზე იდგნენ. ეს სავსებით ეგუებოდა ჩვენ პრინციპებს და იმ რეალ ძალთა განწყობილებას, რომელიც არსებობდა ჩვენში, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში.

ამ მხრივ ჩვენი ტაქტიკა იყო სავსებით სწორი, ჩვენი პოლიტიკა სავსებით მართალი.

თუ როგორია ჩვენი ტაქტიკა ეხლა, ამაზედ შემდეგ წერილში ვისაუბრებთ.

ხერ. ამაღლობელი.

ლტოლვილები

ერთი ჩვენი თანამშრომელი გვატყობინებს გორის მაზრიდან: ქართლის სოფლები დღითი დღე ივსება ლტოლვილებით. ჩვენი ხალხი ისედაც განადგურებულია ეკონომიურად ომების საშინელებით და ახლა ახალი ხიზნების მოვლა პატრონობა მას არ შეუძლია. ჩვენ მივაქცევთ საქართველოს საბჭოთა მთავრობის ყურადღებას ამ საკითხისადმი. საჭიროა დროზე მიღებულ იქმნას ზომები განუწყვეტელი იმიგრაციის წინააღმდეგ.

ახალი ამბები.

— „სოციალისტ-ფედერალისტი"-ს კვირის მთელ ნომერში მოთავსებულ იქნება წერილები მხოლოდ ინტერნაციონალის შესახებ დაბეჭდილი იქნება აგრეთვე მეტად საყურადღებო წერილი კარლოს რადეკისა ორ ნახევარ ინტერნაციონალზე.

— კონსტანტ. გამსახურდიას მოხსენება. პარასკევს ივნისის 24-ს ხელოვანთა სასახლეში (ხოშტარიას სახლში) კონსტანტინე [illegible] „გოეთე, [illegible] ნიცშე". მოხსენება დაიწყება [illegible]. დასწრება ყველას შეუძლია.

— დახმარება ხელოვნების მოხუცთ მოღვაწეთადმი. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმმა 13 ივნისის სხდომაზე დაადგინა წინადადება მიეცეს სახალხო განათლების კომისარს შეიმუშავოს პროექტი კულტურის და ხელოვნების დამსახურებულ მოხუც მოღვაწეთა მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

— კვირას 26 ივნისს უნივერსიტეტის მთავარი შენობაში მოხდება დისერტაციის დაცვა ამავე უნივერსიტეტის დიაგნოსტიკის კლინიკის ასისტენტის მ. წინამძღვარიშვილის მიერ. თემა დისერტაციის შრომისა: „ხონდროიტინ—გოგირდ-მჟავის ქიმიისა და შარდში აღმოჩენის შესახებ მუცლის ტიფის დროს". ოფიციალური ოპონენტებათ იქნებიან პროფესორი ალ. ალადაშვილი და პროფესორი ვასილი მალინიუკი.

პარტიაში

ორშაბათს, 20 ივნისს, „სოც.-ფედერალისტის" რედაქციაში, შესდგა საორგანიზაციო საქმეთა მოსაგვარებლად შემდგარი სამეულის სხდომა, რომელმაც დაადგინა შემდეგი:

1. ორგანიზაციების შესაქმნელად და პარტიული მუშაობის გასაცხოველებლად ყოველ მაზრაში ინიშნება სამაზრო ინსტრუქტორი, რომელსაც ევალება, როგორც არსებული ორგანიზაციების განახლება და რეგისტრაციის გატარება, ისე ახალი ორგანიზაციების შექმნაც. (საჭიროების მიხედვით იგზავნება მომხსენებლები სხვადასხვა საკითხების გასარჩევად.)

2. ტფილისში ხელახალ რეგისტრაციას ახდენს არსებული ორგანიზაციები ხოლო იმ უბნებში, სადაც ისინი დაშლილია, არსდება საინიციატივო ჯგუფები, რომელნიც ატარებენ რეგისტრაციას.

3. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ იხიშნება საუბნო კრებები და არსდება ორგანიზაციები.

4. სადაც საჭიროება მოითხოვს, წაკითხულ იქნება მოხსენებები, როგორც მომენტისა და ტაქტიკის შესახებ, ისე დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებაც.

5. ქუთაისში არსდება, ანალოგიური სამეული, დასავლეთ საქართველოში პარტიული მუშაობის სახელმძღვანელოდ რომელიც ემორჩილება ტფილისის ცენტრალურ სამეულის დადგენილებებს.

წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გადაუხადო იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს, დავით გოგობაძეს ბინაზე მის სახელწოდების დღის წვეულობაზე, უკანასკნელი ომის დროს წმ. ბარბარეში, უქმარის მიერ დასახიჩრებულ პეტრე ფოფხაძის სასარგებლოთ, სამოცდა ჩვიდმეტი ათას ორასი მანეთი (77.200). ფული გადაცემულია კუთვნილებისამებრ.

ვ. დ.

ივნისის 18 1921 წ.
ქ. თბილისი.

რედაქტორი [illegible]
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

დავკარგე ამაწლის მაისის პირველ რიცხვებში სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან მოცემული მოწმობა, გთხოვთ ჩათვალონ იმნეს გაუქმებულად სტუდ. კონსტანტინე მეგრელიძე. 1058

ტ.—2000 სტამბა „სახალხო საქმე" [illegible]